სასწავლო პროცესში სხვადასხვა ციფრული საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ვიდეო გაკვეთილები

რესურსის შექმნის საჭიროება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი რამდენიმე წელია ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს (ვიდეო გაკვეთილებს) მასწავლებლებისთვის, სხვადასხვა ციფრული ინსტრუმენტის გამოყენებაზე. რესურსები განთავსებულია ვებ მისამართზე ict.tpdc.ge.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მზარდი ტემპი, სხვადასხვა ახალი ციფრული ინსტრუმენტების გავრცელება ცხადყოფს, რომ საჭიროა აღნიშნული რესურსებით კიდევ უფრო გამდიდრება ქართული ვებ სივრცის, რათა საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებმა ფეხი აუწყოს იმ ტემპს რასაც ტექნოლოგიების განვითარება ჰქვია.

ზოგადი მიმოხილვა

უკვე არსებული რესურსების გაანალიზებით გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი თემა, რაც ამ ეტაპზე სასარგებლო იქნება მასწავლებლებისთვის, არის მნიშვნელოვანი თემა/მიმართულება და , რაც სასწავლო პროცესში ისტ-ის დანერგვას შეუწყობს ხელს:

- „ისტ-ის გამოყენებისას ინფორმაციის ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვა“, რაც უკავშირდება ციფრული მოქალაქეობის ცნებას;
- კლასის მართვის პროგრამის **(Classroom Management Software) 2.7** ვერსიის გამოყენება, რომელიც ჩაწერილია პირველი კლასის მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის განკუთვნილ ნეტბუქებში (ბუკებში); ეს რესურსი დაეხმარება ყველა მასწავლებელს სასწავლო პროცესში ბუკების გამოყენებაში და საკლასო მენეჯმენტში.
- www.youtube.com-:-გამოყენება საგანმანათლებლო მიზნებისთვის. საგანმანათლებლო რესურსის შექმნა;
- Edmodo.com - საგანამანთლებლო ქსელი, ვირტუალური საკლასო ოთახი. ედმოდოს განახლებასთან და გაქართულებასთან ერთად საჭირო გახდა ახალი ვიდეოგაკვეთილების შექმნა ქართულენოვანი ინტერფეისისთვის, რომელიც დაეხმარება მასწავლებლებს აღნიშნული პორტალი ეფექტურად გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში.
- ვებგვერდის storymaps.arcgis.com- შექმენი შენი ისტორია- საგანმანათლებლო რესურსების შექმნა, რომელიც დაეხმარება სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს საგანმანათლებლო რესურსის შექმნაში.

აღნიშნული თემები შინაარსიდან გამომდინარე დაყოფილი უნდა იყოს მცირე ზომის ვიდეო გაკვეთილებად/ქვეთემებად (1-15წთ-მდე), რომელიც შემდეგ პორტალზე ატვირთვისას უნდა გაერთიანდეს ერთი ძირითადი თემის ქვეშ. (მაგალითი: https://www.edmodo.com/training)

თითოეულ ვიდეოს დასაწყისში უნდა ქონდეს თემის/ქვეთემის დასახელება, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის ლოგო. თითოეული ვიდეო ვრცელდება მასწავლებლის სახლის საავტორო უფლებებით.

ვიდეოს შინაარსი უნდა იყოს კორექტული, ნამდვილი და სანდო. განმტკიცებული უნდა იყოს სხვადასხვა ავთენტური და საყოფაცხოვრებო მაგალითებით, გრაფიკული და ვიზუალური მასალით. ვიდეო გაკვეთილების ტექსტი უნდა იყოს მასწავლებლისთვის (არა ისტ-ის სპეციალისტისთვის) გასაგები ენით გადმოცემული და არ უნდა შეიცავდეს ტექნიკურ, მეთოდიკურ, გრამატიკულ შეცდომებს. თემის დასასრულს უნდა იყოს შემაჯამებელი კითხვები თემიდან გამომდინარე.

შესაქმნელი თემები

#	თემა	თემის შემადგენელი აუცილებელი კომპონენტები
1	მიმართულება ციფრული მოქალაქეობა: ინფორმაციის ეთიკური და სამართლებრივი გამოყენება	• ციფრული რესურსებისა და ინსტრუმენტების გამოყენება უსაფრთხოების, კანონისა და ეთიკურობის დაცვით; • საკუთარი და სხვისი პერსონალური ინფორმაციის დაცვა, შესაბამისი ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობა; • პატივისცემა საავტორო უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების მიმართ და წყაროების შესაბამისი დოკუმენტირება/მითითება; • საავტორო უფლებები და მათი ტიპები • ღია საგანმანათლებლო რესურსების ლიცენზიის გარჩევა (მაგ.: Creative commons ნაირსახეობები) და მათი გამოყენება საკუთარი რესურსების გამოქვეყნებისას.
2	პირველი კლასის ბუკებში კლასის მართვის პროგრამის **(Classroom Management Software)** ვერსიის გამოყენება. მასწავლებლის და მოსწავლის ვერსია (პროგრამული უზრუნველყოფის ვერსია **2.7**)	• პროგრამის ზოგადი მიმოხილვა • ინტერაქტიული სწავლება: კამერა, ჩათი, ჯგუფი, ინტერაქტიული დაფა, დემონსტარცია და სხვა; • კლასის მართვა: მონიტორი და კონტროლი, ფაილების გადაგზავნა მიღება, შეტყობინება, სიჩუმის რეჟიმი, დისტანციური ბრძანება და სხვა; • შეფასება: ტესტი, გამოკითხვა; • პროგრამის ინსტალაცია; • რეგისტრაცია; • საერთო პრობლემები.
3	www.youtube.com- -გამოყენება საგანმანათლებლო მიზნებისთვის/საგანმანათლებლო რესურსი შექმნა	• ვიდეოს ატვირთვა, ატვირთული ვიდეოს გამოქვეყნებება, ინფორმაცია და პარამეტრები • ატვირთული ვიდეოს რედაქტირება: კორექცია, ფილტრები, მოჭრა, დროის ინტრევალები, შენელებული მოძრაობა და სხვ; • აუდიო: ხმის დადება და სხვ;

		• სუბტიტრები: საკუთარ ვიდეოზე ტიტრების დადება; საავტორო უფლებების დაცვით სხვის მიერ ატვირთულ ვიდეოზე ტიტრების დადება; • ბარათის დამატება: https://support.google.com/youtube/answer/6140493?hl • არხის შექმნა და მისი პარამეტერების მომართვა; დასაკრავი სია; დისკუსიები; • პირდაპირი სტრიმინგი და მისი პარამეტრები; • ანალიტიკა; • გამოწერები და სხვ.
4	Edmodo ვირტუალური საკლასო ოთახი (ქართული ინტერფეისისთვის). https://www.edmodo.com	• რეგისტრაცია; • ჯგუფების (პატარა ჯგუფების) შექმნა; ჯგუფის პარამეტრები, წევრების სტატუსები და სხვ; • შეტყობინებების გამოქვეყნება; • ბიბლიოთეკა; • ტესტები და დავალებები; შეფასება; • პროგრესი; • გამოკითხვა; • ედმოდოს დამგეგმავი (კალენდარი); • ედმოდოს მომართვა; • Spotlight;და სხვ.
5	ვებგვერდი storymaps.arcgis.com - შექმენი შენი ისტორია- საგანმანათლებლო რესურსების შექმნა	• ვებგვერდის დანიშნულება; • რეგისტრაცია; • ახალი ისტორიის შექმნა/ არსებული შაბლონების განხილვა; • კონკრეტული საგანმანათლებლო რესურსის შექმნის მაგალითზე (მაგ. საგანში ისტორია) ყველა არსებული შესაძლებლობების განხილვა. • შექმნილი ისტორიის განახლება/რედაქტირება • გამოქვეყნება/ ბმულის გაზიარება და სხვ.

ვიდედეო გაკვეთილების (ვიდეოფაილების) ჩაწერამდე თემის შინაარსი მათ შორის ყველა ჩასაწერი ვიდეო გაკვეთილის/ქვეთემის შინაარსი/ტექსტი უნდა იყოს შეთანხმებული ცენტრის სტანდარტების განვითარებისა დანერგვის სამსახურის, ისტ-ის განვითარებისა და დანერგვის ქვეპროგრამასთან. მხოლოდ შინაარსის ჩაბარების შემდეგ უნდა მოხდეს ვიდეო გაკვეთილების ჩაწერა.

პროდუქტის ტექნიკური მახასიათებლები

ვიდეო გაკვეთილები გახმოვანებული უნდა იყოს გასაგები და მშვიდი ხმის ტემბრით. ვიდეო გაკვეთილებში არ უნდა ჩანდეს გამხმოვანებლის გამოსახულება. (თითოეულ ვიდეო გაკვეთილს თან უნდა ახლდეს ვიდეოში მოთხრობილი ინფორმაცია ტექსტურ ფორმატში.)

ვიდეოფაილები უნდა იყოს წარმოდგენილი mp4 ფორმატში, Full HD ხარისხით ვიდეოს ხარისხი უნდა იყოს მაღალი რეზოლუციით. ვიდეოფაილები უნდა აიტვირთოს სპეციალურ პორტალზე და ასევე გადმოცემული უნდა იყოს მატერიალური ფორმითაც.

დაუშვებელია უკვე არსებული უცხოენოვანი რესურსის (თუნდაც უფასოდ გავრცელებადი) თარგმნა და გამოყენება, ასევე დაუშვებელია პლაგიატი.

ცენტრის ისტ ტრენრების მიერ შექმნილი ვიდეო გაკვეთილების ნიმუშები იხ. საიტზე http://www.ict.tpdc.ge